როზეტა ასათიანი

ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა

(საკითხის დასმის წესით)

გამომცემლობა „სიახლე“

თბილისი 2013

UDC(უაკ) 33.01+378.4(479.22)

როზეტა ასათიანი. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა (საკითხის დასმის წესით). თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013. – 54 გვ.

ნაშრომში განხილულია ზოგადი ეკონომიკური თეორიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და დედაბოძის, განსაკუთრებული როლი მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, კაცობრიობის პროგრესსა და საზოგადოების მსოფლმხედველობის ამაღლებაში. ამასთან დაკავშირებით, ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობების გაანალიზების საფუძველზე, სათანადო არგუმენტაციით, დასაბუთებულია ჯ. კეინზის მაკროეკონომიკური თეორიის როლი „ველური კაპიტალიზმის“ სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო სისტემად გარდაქმნაში, ხოლო მ. ფრიდმენის მონეტარული თეორიისა – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში; გაშუქებულია მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორიის, ისე ეკონომიქსის (მათი კვლევის საგნის განსხვავებიდან გამომდინარე) საუნივერსიტეტო პრაქტიკაში სწავლებასთან დაკავშირებით და წამოყენებულია წინადადება საქართველოს უნივერსიტეტებში ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აღდგენის აუცილებლობის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკებისა და აკადემიური პერსონალისათვის, ეკონომიკურ (და არა მხოლოდ) სპეციალობათა სტუდენტებისათვის, აგრეთვე ზოგადი ეკონომიკური თეორიის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

მეცნიერ-რედაქტორი:

ვლადიმერ პაპავა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

რეცენზენტები:

ნოდარ ჭითანავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რამაზ აბესაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ISBN 978-9941-9134-6-4

© გამომცემლობა „სიახლე“, 2013;
© როზეტა ასათიანი, 2013.

შინაარსი

შესავალი---------- 4

„პირველი მაკროეკონომიკური პროდუქტი“
(თითქოს დაუჯერებელი ისტორია, მაგრამ ნამდვილი) ---------- 7

„ანტიკეინზიანური რევოლუცია“---------- 16

მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ --------- 18

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა
(სად მარხია ძაღლის თავი?)---------- 24

ზოგადი ეკონომიკური თეორია ახალი
გამოწვევების წინაშე---------- 31

ზოგადი ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი:
რაში გამოიხატება მათ შორის არსებითი განსხვავება --- 36

„ახალი პოლიტიკური ეკონომია“ და ზოგადი
ეკონომიკური თეორია---------- 41

საქართველოს უნივერსიტეტებში ზოგადი
ეკონომიკური თეორიის სწავლების საკითხისათვის---------42

ბიბლიოგრაფია----------46

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებად დარჩება თუ ცხოვრებაში მათი გატარება არ მოხდა გონივრული ეკონომიკური პოლიტიკით, რომლის განმახორციელებელი და გარანტი თვით სახელმწიფოა, ის მმართველი გუნდი, ის ინსტიტუტები, რომლებიც უნდა ფლობდნენ მართვის საიდუმლოებას, უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივ თანხმობას, რომელთა გარეშე ქვეყანაში დიდია ქაოსისა და სიღარიბის საშიშროება.

ახლო წარსულში, როდესაც ნეოლიბერალური დოგმების დამკვიდრება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წარმართვის, შეიძლება ითქვას, ინსტრუქციად იქცა. ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკურმა სტრატეგიამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რამაც, ბუნებრივია, ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია, ფაქტობრივად, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში „მომზადებული“, 2006 წლიდან გამოვლენილი, ხოლო 2008 წელს აშშ-დან დაწყებული ფინანსური კრიზისი, რომელიც სწრაფად გადაიზარდა მსოფლიო ფინანსურ, ხოლო შემდეგ – მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში.

შეირყა ახალი დასავლური (როგორც ევროპული, ისე ამერიკული) დემოკრატია. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა გლობალიზაციის სწრაფმა ტემპებმა, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვე-

რტიკალურ ჭრილში. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა ის აქსიომატური ჭეშმარიტება, რომ **დღეს ეკონომიკურ პოლიტიკაში ულტრალიბერალურ ეკონომიკურ ფასეულობებზე მორგებული კონცეპტუალური მიდგომები სახელმწიფოს ჩაურევლად ვერ წყვეტენ საბაზრო სისტემაში იმანენტურად ჩადებული ბიზნეს-ციკლების განვითარებისა და რეცესიის მწვავე პრობლემებს, პირიქით, ხელს უწყობენ არაპროგნოზირებადი რისკების წარმოშობას**.

წინამდებარე ნაშრომის სათაურად გამოტანილი პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს არა მხოლოდ ზოგადი ეკონომიკური თეორიის უდიდესი როლი ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობა-განვითარებაში, არამედ მისი განუზომლად დიდი მნიშვნელობაც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ამასთან, საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-გაფართოებაში.

ეკონომიკური თეორიის როლისა და მნიშვნელობის დასაბუთებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ის ეტაპები, რომლებმაც უშუალოდ წარმოაჩინა ეკონომიკური თეორიის განსაკუთრებული ადგილი კაცობრიობის პროგრესში.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ღრმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, რასაც დასაბამი მისცა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივ წარმოებაში განხორციელებულმა მძლავრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ეკონომიკური მეცნიერება, განსაკუთრებით კი, ზოგადი ეკონომიკური თეორია. სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ახსნაში მას „პირველი ვიოლინოს“ როლი წარმოშობიდან – XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან, კლასიკური ეკონომიკური თეორიისა და, შესაბამისად, ინგლისური კლასიკური სკოლის აღმოცენებიდან (რაც დასავლეთში კაპიტალიზმის დამკვიდრების

პარალელურად მოხდა და „პოლიტიკური ეკონომიის“ სახელწოდებით დამკვიდრდა) დაეკისრა, მაგრამ შემდგომ პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების დივერსიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ყველა ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა. მის მიერ შემუშავებული კატეგორიები, ცნებები და აღმოჩენილი კანონზომიერებები საფუძვლად დაედო ფუნქციონალურ და დარგობრივ ეკონომიკურ მეცნიერებებს.

რაც უფრო იკრებდა ძალას კაპიტალიზმი, მით უფრო მდიდრდებოდა ეკონომიკური მეცნიერების ეს დედაბოძი ახალ-ახალი კონცეფციებით, სკოლებითა და მიმართულებებით. მიუხედავად ამისა, კლასიკურ-ლიბერალური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებულ მიმართულებად რჩებოდა თითქმის 160 წლის მანძილზე და XX საუკუნის 30-იან წლებამდე საფუძვლად ედო ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ, აშშ-ისა და სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

„ენდე ბაზარს“ – ამ თეზაზე მორგებულმა ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა უპრეცედენტოდ ღრმა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში. მსოფლიო ეკონომიკა „დიდმა დეპრესიამ“ მოიცვა, თუმცა, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე (Laissez faires) დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა უცვლელი რჩებოდა, დეპრესიის დაძლევა კი „არაეფექტიანი სამკურნალო ღონისძიებებით“ [1] ფერხდებოდა. სმითისეული „უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული დრომოჭმული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა კვლავინდებურად „აზრთა კონვერგენციის“ გამოხატულებას წარმოადგენდა.

„პირველი მაკროეკონომიკური პროდუქტი“ (თითქოს დაუჯერებელი ისტორია, მაგრამ ნამდვილი)

გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწყებულმა „კეინზიანურმა რევოლუციამ“, როგორც 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურმა გამოძახილმა, ბიძგი მისცა არსებითი ძვრების დაწყებას წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში [2, გვ. 40-42; 205-211; 215-218]. ამ პერიოდიდან მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების ბესტსელერად აღიარებულ ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) (შემდგომში – „ზოგადი თეორია“ – რ.ა.) – წარმოდგენილმა **მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიამ მთვლემარე მდგომარეობაში მყოფ აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა და ჩაანაცვლა კლასიკურ-ლიბერალური თეორია. დაიწყო კაპიტალისტური სისტემის გამყარების და არა მისი რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური სისტემით ჩანაცვლების პროცესი.**

„კეინზიანური რევოლუციით“ დასავლეთის ქვეყნები ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადაერთო. რაც მთავარია, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლით, დასავლურ კაპიტალისტურ სამყაროში „ზოგადი თეორიის“ ძირითად პოსტულატებზე და, პირველ ყოვლისა, „მოთხოვნის თეორიაზე“ დაყრდნობით დაძლეულ იქნა „დიდი დეპრესია“, გაჩნდა სტაბილურობის ნიშნები. მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანურმა მოდელმა დააჩქარა კაპიტალიზმის ახალ თვისებრიობაში გადაზრდა: „ველური კაპიტალიზმი“ ევოლუციური გზით გარდაიქმნა საკუთრების პლურალიზმზე (საკუთრების მრავალფორმიანობა თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დაფუძნებულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით განმტკიცებულ ეკონომიკურ სისტე-

მად, რომლის განმსაზღვრელ ფენომენად ბაზარი წარმოჩინდა. „მოთხოვნის თეორიის“ საფუძველზე შექმნილმა კეინზიანურმა მოდელმა უარყო ეკონომიკურ თეორიასა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებული სმითისეული კონცეფცია და ადგილი სოციალურ ორიენტაციაზე მორგებულ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტს დაუთმო. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების უმრავლესობა კეინზის „ზოგად თეორიას“ განიხილავს როგორც შემობრუნების ეტაპს ეკონომიკური აზრის ისტორიასა და აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში [3].

კრიზისების დაძლევისა და დეპრესიის თავიდან აცილებისადმი მიძღვნილი სტაგნაციური ეკონომიკის ეს სიღრმისეული ანალიზი შემდეგ მსჯელობას ეყრდნობა: პირველ ყოვლისა, კეინზი აქცენტს აკეთებს რა ეფექტიანი მოთხოვნის მექანიზმზე, უარყოფს ეკონომიკაში გაბატონებულ მიკროეკონომიკური მიდგომას. მისი აზრით, სახელმწიფო, სოციალური ხარჯების გაზრდით, ან გადასახადების შემცირებით, ან კიდევ, ორივე ღონისძიების გატარებით შეძლებდა ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებას, რითაც გააფართოებდა წარმოებას (მიწოდებას), მოიზიდავდა ინვესტიციებს და ეკონომიკას დაუბრუნებდა სიცოცხლისუნარიანობას.

ჯ.მ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორიაც აგებულია შემდეგ მსჯელობაზე: ინვესტიციების გადიდება გამოიწვევს ჯერ დასაქმების, ხოლო შემდეგ, შემოსავლების ზრდას. ეს უკანასკნელი გაზრდის ბაზრის ტევადობას, რაც, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს შექმნის წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების გადიდებისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია კეინზის შემდეგი მოსაზრებაც: როცა ეკონომიკა შეძლებდა „ბაზრის შეცდომების გამოსწორებას“, მაშინ „ეფექტიან მოთხოვნაზე“ სახელმწიფოს მიერ აქცენტის გაკეთება აღარ იქნებოდა საჭირო და ამის საპირისპი-

როდ მთელი ძალით ამოქმედდებოდა ნეოკლასიკურ „მიწოდების თეორიაზე“ დაფუძნებული საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები [4]. ეს იყო რაციონალური ქცევის თეორია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისთვის იყო ანგარიშგასაწევი. იგი სიდუხჭირიდან ქვეყნის გამოყვანის მსოფლიოში აპრობირებულ მიმართულებადაა აღიარებული.

ეკონომიკურ აზროვნებასა და, შემდეგ, პრაქტიკაში განხორციელებულმა ასეთმა რადიკალურმა ცვლილებებმა წარმოქმნა სრულიად სხვა შინაარსის ბაზარი, ვიდრე იყო წინა ეკონომიკურ სისტემებში, სადაც მას შედარებით მეორეხარისხოვანი როლი ეკისრებოდა და წინა პლანზე წამოწეული იყო ჯერ მონათმფლობელური (მონათმფლობელსა და მონას შორის), შემდეგ, ფეოდალური (ფეოდალსა და ყმაგლეხს შორის), დაბოლოს, კაპიტალისტური (კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის) ეკონომიკური ურთიერთობები. ამასთან, არ გამოვრიცხავთ არც 70-წლიან „სოციალისტურ ექსპერიმენტს“, სადაც ასევე არსებობდა განსხვავებულ პარადიგმებზე დამყარებული ბაზარი, მაგრამ აქაც იგი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და წინა პლანზე ე.წ. სოციალისტური ეკონომიკური ურთიერთობები იყო წამოწეული, რომელიც ეფუძნებოდა ფორმით მარქსისტულ, ხოლო შინაარსით ლენინურ მემკვიდრეობაზე აგებულ სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას.

შერეული ტიპის ეკონომიკაში, სადაც სახელმწიფო „ღამის დარაჯიდან“ მაკროეკონომიკურ რეგულატორად გადაიქცა, საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს მნიშვნელოვანი, მეტიც, განმსაზღვრელი როლი დაეკისრა, რაც, ყველა წინა ეკონომიკური სისტემისაგან განსხვავებით, თვისებრივად ახალი ეკონომიკური გარემოს შექმნასა და თვით სისტემის სახელწოდებაშიც კი აისახა.

გაბედულმა სიღრმისეულმა ცვლილებებმა უდიდესი პოზიტივი შეიტანა ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად II

მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგებისა, 1950-იანი წლებიდან (განსაკუთრებით მის მეორე ნახევრიდან) წამოვიდა „სიურპრიზების“ კასკადი: უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონტურები; 1948 წელს გაეროს მიერ პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, 1953 წელს პირველად მსოფლიო ისტორიაში შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ანუ იმ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკისა და „დანარჩენ მსოფლიოსთან“ (150-ზე მეტ ქვეყანასთან) მისი ეკონომიკური კავშირების შესწავლას; 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, „ინტელექტუალური“ ტექნოლოგიების შექმნას, შესაბამისად, დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატეს ზრდას, მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციასა და მისი განსაკუთრებული როლის წარმოჩენას [6].

ამ ცვლილებათა ფონზე, 1948 წელს, პოლ სამუელსონის ავტორობით მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო – „ეკონომიქსი“, რომელშიც აისახა ეკონომიკაში მიმდინარე რევოლუციური ძვრები (შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის 50-60-იანი წლები ცნობილია „სამუელსონის ეპოქის“ სახელწოდებით. ისიც ნიშანდობლივია, რომ იმდენად დიდი იყო დაინტერესება, „ეკონომიქსი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაში ითარგმნა და მის ავტორს დიდი ფინანსური წარმატება მოუტანა). „ამ პერიოდიდან ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, თავის ოქროს ხანაში შევიდა“ [5, 31]. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა კოლონიური უღლისგან რიგი ქვეყნების განთავისუფლება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, მსოფლიო ეკონო-

მიკური განვითარების ვექტორის შეცვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ამაღლებასაც მიუძღვის.

ამ ზომიერად კონსერვატიული ცვლილებების ფონზე სახელმწიფო-მონოპლისტური კაპიტალიზმი და, საერთოდ, ძველი ეკონომიკური ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, „ეროზიას“ განიცდიდა, ეკონომიკური პოლიტიკა კი ახალ შინაარსს იძენდა. წინა პლანზე სოციალურ ორიენტაციაზე მორგებული მაკროეკონომიკური რეგულირების ფენომენი წარმოჩნდა. კეინზი მოუწოდებდა მთავრობებს საზოგადოებრივ პროექტებზე მეტი ფულადი სახსრების გამოყოფისაკენ, რათა ამით შებრძოლებოდნენ უმუშევრობას, განსაკუთრებით, ეკონომიკის ვარდნის პერიოდში.

როგორც იტყვიან, რომი ერთ დღეს არ აშენებულა, თუმცა, რეალურად დაიწყო „ველური კაპიტალიზმის“ ჩანაცვლება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკით. ბაზარს დაეტყო რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, იგი ახალ ამპლუაში წარმოჩნდა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში (შვედეთი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.) საგრძნობლად გაუმჯობესდა სოციალური ფონი: შემცირდა სიღარიბე; გაიზარდა საშუალო ფენის ხვედრითი წონა და იმ უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მოხმარება, რომელიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისათვის; საზოგადოების თითქმის 10%-მა ფუფუნების დონეს მიაღწია, რასაც წინათ მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ.

უკვე 60-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის განვითარებაში, შეიძლება ითქვას, დაიწყო ახალი ეპოქა. სწორედ ამ პერიოდიდან მიიღო ეკონომიკურად დაწინაურებულმა ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნის სტატუსი (მათი რიცხვი დღეს 22-ია). ინდუსტრიული საზოგადოება პოსტინდუსტრიულში გადაიზარდა [7].

ამიტომაცაა ჯონ მეინარდ კეინზის „ზოგადი თეორია“ XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების **შედევრი** (როგორც მას ეკონომიკის დარგში 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი უწოდებს). „იგი სახელმძღვანელოა, სტაგნაციური ეკონომიკის სიღრმისეული ანალიზია კრიზისების დაძლევასა და დეპრესიის თავიდან აცილებისათვის“ [8, გვ. 82].

ასეთ სიტუაციაში ეკონომიკური მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები დადგა. სრულიად ახალი შინაარსის მატარებელი რეალური ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გახდა ახალი ინსტრუმენტარიუმის გამოყენება. პ. სამუელსონი „ეკონომიქსის“ ბოლო, XVI გამოცემაში (1998) აღნიშნავს, რომ როდესაც მან 1948 წელს პირველად გამოსცა ეს სახელმძღვანელო, უკვე მომწიფებული იყო ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების ასახვისათვის. სტუდენტთა ახალი თაობა მოითხოვდა ახალი ეკონომიკური მოვლენების ახსნას, ხოლო ეკონომიკაში ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოებიც კი მოძველებული იყო, რაც ეტყობოდა კიდეც სტუდენტთა აუდიტორიებს, სადაც ისინი მოწყენილები ისხდნენ [5, გვ. 16-17].

საბაზრო ურთიერთობებმა, გაბატონებული კერძო კაპიტალისტურ საკუთრებითი ურთიერთობების ნაცვლად, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით, შეიძლება ითქვას, „შტამპი მოხსნა“ კაპიტალიზმს. სწორედ საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რევოლუციურმა ცვლილებებმა (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად) განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბება. მისთვის დამახასიათებელი უპირატესობების საფუძველზე იგი, როგორც მრავალსტრუქტურიანი წარმონაქმნი, ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად იქცა. ასეთი

ბაზარი, როგორც კვლავწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, აყალიბებს შრომითი მოტივაციის ეფექტიან სისტემას, ფართო შესაძლებლობებს ქმნის სამეწარმეო საქმიანობისათვის, საბოლოო ანგარიშით კი, ავლენს ისეთ ობიექტურ კანონზომიერებებს, რომლებიც გამოხატულებას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პოვებენ [2, გვ. 40-42].

ასეთი კანონზომიერებები ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, დღეს განვითარებულ, მაგრამ XX საუკუნის 30-იან წლებში ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე მდგარ ქვეყნებში.

მსოფლიო ეკონომიკაში დაიწყო ახალი ეპოქა. მაგრამ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კეინზის რეკომენდაციები არ იქნა სრულყოფილად გათვალისწინებული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ნაწილი, სადაც ავტორი მიუთითებს თავისი რეკომენდაციების ქვეყნის მხოლოდ კრიზისულ მდგომარეობაში გამოყენების შესახებ, როდესაც ეკონომიკური სიტუაცია გამოხატავს წონასწორობის შესაძლებელი მდგომარეობის უკიდურეს შემთხვევას [4, გვ. 55]. კეინზის თეორია, რომელიც უმთავრესად იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს, ამასთან, რეკომენდაციები, რომლებიც ამ მიზეზების აღმოფხვრის გზებს გვთავაზობს, კრიზისის დაძლევის შემდეგაც გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მართალია, ნეოკეინზიანელებმა (ე. დომარი, რ. ჰაროდი, უ. ფელნერი, ჯ. რობინსონი, ა. ჰანსენი და ა.შ.) კეინზის თეორია გამოიყენეს როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის, მაგრამ მათ, კეინზის

თეორიაზე დაყრდნობითა და, ამასთან, მისი კრიტიკით, სრულიად ახალი კონცეფცია შექმნეს. ისინი ასაბუთებდნენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას. საქმე ეხებოდა ინდიკატურ დაგეგმვას, რომელიც არ ზღუდავდა კერძო კაპიტალის სუვერენულ უფლებებს. ნეოკეინზიანელთა პოზიციას ამერიკელმა ეკონომისტებმა (ა. ბერნსი და სხვ.) „სტაგნაციის ახალი თეორია“ უწოდეს.

კეიზიანური მიმართულების კრიტიკა გაამძაფრეს ნეოკლასიკოსებმაც (რ. სოლოუ, დ. მიდი, მ. ბრაუნი, ჯ. ჰიკსი და სხვ). ისინი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცა, მაინც აღიარებდნენ შეზღუდული ფორმით, უმთავრესად ფულადი რეგულირების სფეროში, ასეთი ჩარევის აუცილებლობას. მათთვის ცენტრალურ პრობლემას არა ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა, არამედ ერთობლივი მიწოდება წარმოადგენდა. ნეოკლასიკოსები ეკონომიკური ზრდის საფუძვლად სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მოგების გაზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის პროპორციების მკაცრი რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას თვლიდნენ.

ასეთი კრიტიკის ქარცეცხლში კეინზიანური მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომლის რეალურ განსახიერებას განვითარებულ ქვეყნებში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამ პერიოდში კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსი ვერ მოხერხდა, მაგრამ 70-იანი წლებიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდაში, სახელმწიფო აპარატის გაბერ-

ვაში და, საბოლოო ანგარიშით, გადასახადების გადიდებაში. ამან გამოიწვია ეკონომიკის სტიმულირების შესუსტება, რის შედეგადაც დაიწყო ეკონომიკური ზრდის შენელება.

1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 30-იანი წლების შემდეგ ყველაზე ძლიერი იყო, ხელშემწყობი პირობები შექმნა „სახელმწიფოს მინიმუმის“ თეორიის აღორძინებისათვის. შესუსტდა ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემის მიმართ და წინა პლანზე გადმოინაცვლა პოტენციური შესაძლებლობების ზრდის განმსაზღვრელმა ფაქტორებმა, რესურსების მიწოდებისა და გამოყენების ეფექტიანობის, წარმოების პოტენციური დონის განსაზღვრის პრობლემებმა. გაძლიერდა ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელის კრიტიკა და დაიწყო ნეოკლასიკური თეორიის იდეების რენესანსი, რამაც პრაქტიკული ასახვა პოვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. „მიწოდების თეორიისა“ და მონეტარიზმის ძირითადი დებულებები აისახა აშშ-ის პრეზიდენტ რ. რეიგანის პოლიტიკაში, რომელმაც მიიღო „რეიგანომიკის“, ხოლო დიდ ბრიტანეთში – „ტეტჩერიზმის“ სახელწოდება.

ამ უაღრესად რთული პროცესების ახსნისა და ანალიზის, თეორიული განზოგადების აუცილებლობამ ახალი ეკონომიკური აზროვნება და შემოქმედებითი მიდგომა მოითხოვა. ზოგადი ეკონომიკური თეორია, რომელიც მართლაც გახდა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეფე“ (სამუელსონი), ახალი ამოცანების წინაშე დადგა.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიასა და პოლიტიკაში პრინციპული კორექტივების შეტანამ, რაც ეყრდნობა „ორივე ხელის სტრატეგიას“, ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან,

განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრიდან ახალი სიტყვა თქვა ეკონომიკურ მეცნიერებაში. ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება „ნეოკლასიკური სინთეზის“ სახით (ი. მეტცლერი, პ.სამუელსონი, რ. დორთმანი, რ. სოლოუ და სხვ.), რომელიც საფუძვლად დაედო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. იგი გულისხმობს ეკონომიკური დაცემის პირობებში მოთხოვნის რეგულირების კეინზიანური მეთოდების გამოყენებასა და, პირიქით, საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის არსებული რეზერვების ამოწურვისას წარმოებრივი პოტენციალის ზრდის ყოველმხირვ სტიმულირებას. „ნეოკლასიკური სინთეზი“ მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის კონცეფციას აერთიანებს ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ ფასწარმოქმნისა და შემოსავლის განაწილების ზოგად კონცეფციასთან. ეს პერიოდი განვითარებული ქვეყნებისთვის იყო ეკონომიკური სტაბილურობისა და აღმასვლის პერიოდი. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა. **მაგრამ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან სრულიად საწინააღმდეგო პროცესები განვითარდა.**

„ანტიკეინზიანური რევოლუცია“

მსოფლიო ეკონომიკის ახლო წარსულის ისტორია არის მონეტარიზმის აღზევების ისტორია. იგი „ანტიკეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებით აისახა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური (უფრო ზუსტად, ულტრალიბერალური) ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და რიგი სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა,

სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების გარანტად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის დაქვეითებისა და ა.შ. გზით. ამ პერიოდში მონეტარიზმი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა. მაგრამ, პროგრესთან ერთად, ეკონომიკური განვითარების რთული პროცესი ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი – სოციალური პრობლემები წარმოჩინდა [9].

მონეტარიზმის დოქტრინა არ უარყოფდა იმ იდეას, რომ საბაზრო ეკონომიკა საჭიროებდა „დაგეგმილ სტაბილიზაციას“ სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევის ფორმით, მაგრამ ამ ფუნქციას მხოლოდ ცენტრალურ ბანკებს აკისრებდა ფულის მიწოდების უზრუნველყოფის, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის კონტროლისა და საბანკო დეპოზიტების სტაბილური ზრდის მიღწევისათვის [10]. „ჩიკაგოს სკოლა“ ხელმძღვანელობდა „ეფექტიანი ბაზრის ჰიპოთეზით“ (ეუჯინ ფამა) და უარყოფდა აქტიურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც, ამ სკოლის წარმომადგენელთა ვარაუდით, ეკონომიკაში ბევრ გაუგებრობას შემოიტანდა. მონეტარისტები ვერ ეგუებოდნენ კეინზიანური თეორიის მომხიბვლელობას და მისი შეჯერება მონეტარიზმთან წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ამიტომ ცდილობდნენ ნეოკლასიკური თეორიიდან გადახვევები რაც შეიძლება შეეზღუდათ. მათი აზრით, აქტიური ფისკალური პოლიტიკა – ცვლილებები სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდისა და გადასახადების შემცირების მიმართულებით, რეცესიასთან ბრძოლაში საჭირო არ იყო. ასეთი არგუმენტაციით, მონეტარისტებმა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყეს მოქ-

მედება. „ჩიკაგოს სკოლამ“ მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორიც საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებაა, უკანა პლანზე გადასწია და წამყვანი ადგილი ფულად-საკრედიტო რეგულირებას დაუთმო. მონეტარისტთა თეორიული დებულებები პრაქტიკულ ქმედებებში აისახა და ეკონომიკურ პოლიტიკაში ახალი კონტურები გამოიხატა. „ნეოკლასიკური სინთეზის“ ადგილი მონეტარულმა თეორიამ დაიკავა.

მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილთონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ [8, გვ. 80]. „კარგი მაკრომდგომარეობა“* წარსულს ჩაჰბარდა. იმის ვარაუდი, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“ (რობერტ ლუკასი) ეჭვქვეშ დადგა.

მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (რომელიც აერთიანებს 12 ფედერალურ სარეზერვო ბანკს) მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა, ადმინისტრაციული ლაგისა და სხვა ფაქტორების გავლენით, აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“ [8]. თავის

* ასე ახასიათებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი ო. ბლანჩარდი 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ვიდრე 2008 წლამდე განვლილ პერიოდს.

კომპეტენციის ფარგლებში, ფულად-საკრედიტო რეგულირებისა და კონტროლის გაძლიერებით, მან ვერ შეძლო შეეტანა არსებითი ცვლილებები აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში. გაიდეალიზებული ფინანსური ბაზრები შორს აღმოჩნდა სრულყოფილებისაგან. ეკონომიკის ღრმა დეპრესია და არაპროგნოზირებადი რყევები გარდაუვალი გახდა. ნეოკლასიციზმში განფენილი ირაციონალური ქცევები და იმის მტკიცება, რომ ბაზარი გადაჭრის ყველა პრობლემას, შორს აღმოჩნდა რეალობისაგან. ფრიდმენის „ფილოსოფიაზე“ აგებულმა მონეტარიზმმა უკიდურესი მარცხი განიცადა. თანამედროვე მსოფლიო ღრმა ეკონომიკურ კრიზისში ჩაეფლო.

ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“ [11]. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზეც, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება [12].

საყურადღებოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: მონეტარისტებმა, „სახელმწიფო მინიმუმისა“ და თვითრეგულირებადი ეკონომიკის დოქტრინაზე დაყრდნობით, განმსაზღვრელი როლი ფულად რეგულირებას დააკისრა, რითაც საკრედიტო ბერკეტები შეასუსტა. ფინანსურ ბაზრებზე მოკლევადიანმა სპეკულაციურმა გარიგებებმა გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. სახელმწიფოებრივი „ნიშა“ მაფიოზურმა ჯგუფებმა დაიკავა. ფულით ფულის კეთებამ უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით რეალურ სექტორზე მოახდინა, რადგან ფულმა ეკონომიკისთვის ვერ იმუშავა. ყოველივე ეს ეკონომიკის მკვეთრ ვარდნაში გამოვლინდა. დაიჩრდილა ის მიმზიდველობა

და სიფაქიზე, რაც ზოგადად ახასიათებს ნეოკლასიკურ მიმდინარეობას. დისფუნქციური ფინანსური ბაზრების წყალობით მსოფლიო ეკონომიკა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია – კითხვის ნიშნის ქვეშ.

პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმია. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს უბიძგა ფინანსური კრიზისისკენ, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა.

ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის, საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ, რომელსაც არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა (ამასთან, დაგმო), დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა), შედეგად კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. **ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.**

ნეოორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული თანამედროვე მონეტარიზმის მოდელი საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით ნებისმიერ ქვეყანაში აისახა, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში

გამოიხატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე, ხოლო მთლიანი მსოფლიო პროდუქტი – 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა [12; 13, გვ. 46].

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა.

„ჩიკაგოს სკოლის“ ეკონომისტთა კომენტარები როგორც „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკური პროდუქტი – ასე შეაფასა პოლ კრუგმანმა მილთონ ფრიდმენისა და, საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, – როდესაც „დავიწყებული იქნა რთულად მოპოვებული ცოდნა“ და მონეტარისტებმა სცადეს საკუთარი მათემატიკური ოსტატობის ჩვენებით მოეხდინათ ძველი, დეზინფიცირებული ეკონომიკური ხედვის იდეალიზაცია [8,81].

დღის წესრიგში ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმის (ძირითადი მიმართულების) შეცვლის საკითხი დადგა [13, გვ. 13-50]. ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. კეინზის თეორიის დედაარსმა (ანუ იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის გაზრდა, წარმოების გაფართოება და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება) ისევ მიიპყრო მეცნიერ-მკვლევართა და რეფორმატორთა ყურადღება.

თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნე-

ბულიყო. ამიტომ სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზის თეორიის პოსტულატებმა – ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის გააქტიურებამ (სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ და ა.შ.) წამოიწია.

მსოფლიოში ტონის მიმცემი ლიდერი ქვეყნების „საჭეთმპყრობელნი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ამ ციტადელიდან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება.

ამრიგად, დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური კრიზისის პირობებში, „ფრიდმენის ფილოსოფიის“ შეცვლის პროცესშია.

„კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული, არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციაში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო ჯონ მეინარდ კეინზის ეს ჰუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად [46, გვ. 60].

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ეკონომიკურ პოლიტიკას ამ ქვეყნებში სპონტანური ხასიათი აქვს. მათ რო-

გორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ვერ გამოიყენეს მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან მოქცეულნი. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში იგნორირებულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნები, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. „გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ“ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 2,5 ტრილიონ დოლარს დიდი ხანია გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ – 375 მლრდ დოლარს [15, გვ. 29-30].

შარლ დე გოლის ცნობილმა ბრძნულმა გამონათქვამმა – „ეკონომიკური პოლიტიკის მართვა მეტად რთული საქმეა, მას მხოლოდ პოლიტიკოსებს ვერ ვანდობთ“ – თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში მეტი აქტუალურობა შეიძინა. ეკონომიკური პოლიტიკის მართვა მართლაც მეტად რთული საქმეა, მაგრამ, როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, მას მხოლოდ პოლიტიკოსები არ მართავენ. ეკონომისტებსაც (ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კვალობაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც) მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მის ფორმირებაში, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ხარისხზე. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოა იმის გარანტი, თუ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად ადეკვატურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და თავისებურებების, რამდენად წარმატებულად იმართება იგი. **რეალურად არსებობს კი ასეთი პოლიტიკა, თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?**

მსჯელობა რომ ზოგადი არ იყოს, მიზანშეწონილია ეს პრობლემა განხილულ იქნეს ეროვნული ეკონომიკის ჭრილში.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა (სად მარხია ძაღლის თავი?)

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ, სახელმწიფოებრიობის აღიარების საფუძველზე, მიზნად დაისახა რა საბჭოური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი, სახელმწიფო-მონოპოლისტური მარწუხებისაგან განთავისუფლება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ამით შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა ქვეყნის განვითარებაში. საქართველოს წარმატებას, მის მომავალს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის – ამ მეტად რთული და უალტერნატივო პროცესის ტემპი და ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დიდად იყო დამოკიდებული ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემოზე, არსებული პოტენციალის სწორ შეფასებაზე, ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმზე, ქვეყანაში დაწყებული ინსტიტუციალიზაციის დონეზე და ა.შ. ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, სისტემური გარდაქმნებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, სრულიად ალოგიკურად, სახელმწიფო შემოიფარგლა სმითისეული „ღამის დარაჯის“ ფუნქციით და, ეკონომიკის რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა. მოხდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის აბსოლუტური მინიმიზაცია, რის გამოც პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი „ვაშინგტონის კონსესუსის“ მიერ შემუშავებული „შოკური თერაპია“, რომელმაც ვერ გაამართლა საქართველოში, ვინაიდან ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია, რაც თვით „პოსტვაშინგტონის კონსესუსმაც“ აღიარა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა უარყოფითად შეაფასა. ამრიგად, 1991-1995 წლები (ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის I ეტაპი) მეტად წარუმატებელი იყო საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების ამ უაღრესად საპასუხისმგებლო სასტარტო პერიოდში [2, 62-67].

1995 წლის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მოხდა არსებითი ცვლილებები და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური“ გზა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მიმართულებაზე დაფუძნებულ ლიბერალურ-მონეტარული მოდელით შეიცვალა. ამით საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების II ეტაპი, რომელიც 1996-2003 წლებს მოიცავს. დაიწყო მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარება (რაც გადასახადების გადიდებაში, საგადასახადო შეღავათების, სახელმწიფო სოციალური ხარჯების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების შემცირებაში, მიზერული პენსიებისა და ხელფასების „გაყინვაში“ გამოიხატა), რასაც მოჰყვა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც (ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა და ლარის სტაბილიზაცია). ეს მოდელი „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახა, რამაც წარმოქმნა ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიცაა დაბალი საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობა (იმ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია), გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ. ყოველივე ეს, ბუნებრივია,

აისახა საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრ შემცირებაში, ექსპორტის მკვეთრ შეკვეცასა და საგადასახდელო ბალანსის გაუარესებაში (მშპ-ში ექსპორტის წილმა მხოლოდ 3% შეადგინა), საგარეო ვალის გაზრდაში. საქართველო თანდათან მოექცა მსოფლიო ფინანსური ბაზრების გავლენის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ არასწორი, არაადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით საქართველო 2003 წელს აწარმოებდა 1990 წელს წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 46,2%-ს.

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტებზე, საქართველოში 12-წლიანი რეფორმირების შემდეგ უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაფიქსირდა: მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, ვერ განვითარდა მცირე მეწარმეობა და, ბუნებრივია, ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა, ნეგატიური ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გავლენით ეს ულამაზესი და თავისი პოტენციური შესაძლებლობებით უნიკალური ქვეყანა კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. **არასწორმა მართვამ, გარედან თავსმოხვეულმა და ხელისუფლების მიერ გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია და ქვეყანა ჩიხში მოაქცია.**

ეკონომიკის რეფორმირების III ეტაპზე (2004 წლიდან დაიწყო და თითქმის 2012 წლის ბოლომდე გაგრძელდა), საქართველო რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დადგა. მიუხედავად რიგი პოზიტიური ძვრებისა (ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, ფარული ეკონომიკის ლიკვიდაციის

ღონისძიებებზე, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ელექტრონული სერვისების დანერგვაზე და ა.შ.), საქართველოში ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, სოციალური სოლიდარობის მიღწევა, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება და ა.შ. **კვაზიდემოკრატია აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას**, არ არის დაცული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობები – კონკურენციის დაცვის პირობების შეხამება სოციალური დაცვის პირობებთან. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია, მწვავეა სოციალური სტრატიფიკაცია. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. საქართველო ტოტალური უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანაში სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც კიდევ უფრო აფერხებს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას [30].

საქართველოში ჯერ კიდევ ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის არსებობასა და ერის გადარჩენაზე.

საქართველოში (პოზიტიურთან ერთად) დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. წინ ვერ აღვუდეგით სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც 20 წელზე მეტია გრძელდება და დასასრული არ უჩანს. **დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე**

მიგვიყვანდა? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასიკური ფორმით არც ერთი ეკნომიკური თეორია არ გამოუყენებია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც, პირველ ყოვლისა, სწორედ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი, ისტორიულად განსაზღვრული ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ფასეულობები, რაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარების სტრატეგიაში აისახება.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საქართველოში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა, ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო. **ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.**

საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? **სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა. სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ულტრალიბე-**

რალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, ძალზე დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა. დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია. 1990 წელთან შედარებით, მათი რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა [17]. საქართველოში, რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, ვერ ვითარდება უმცირესი, მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს [18]. თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დავალიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ.

საქართველოს მოსახლეობა, 1989 წელთან შედარებით, 21%-ით შემცირდა. სსფ-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2011 წელს რეალურმა მშპ-მა 1990 წლის დონის მხოლოდ 84,1%, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) 3230 დოლარი (5447 ლარი) შეადგინა [18]. ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა საშუალო მსოფლიო დონისგან ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე (იგი მხოლოდ 9%-ია). ხელოვნურადაა შემცირებული

საარსებო მინიმუმი. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 266,6 ლარს, ხოლო 1 შრომისუნარიან კაცზე – 150,5 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი 40 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი – 636 ლარი [18]. ექსპერტული შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის 15% ღატაკია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, ხოლო, მათ შორის შეძლებული – 3,5% [15].

ასეთი მწვავე სოციალური სტრატიფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საჰარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება [19, გვ. 62]. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა.

სსფ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა, თუმცა, გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა. აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა

პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2011 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 31% შეადგინა.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის რეიტინგში საქართველო 144 ქვეყანას შორის 77-ე ადგილზეა, ბიზნესის განვითარების მიხედვით – 113-ზე, ინოვაციების მხრივ – 126-ზე, ხოლო უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიხედვით – 93-ე ადგილზე [20, გვ. 45].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო მცდარ მონეტარისტულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

ზოგადი ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა და პროცესებმა – მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამ, კომუნისტური რეჟიმის კრახმა, 400 მლნ მოსახლეობით 27 ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და განვითრების ახალ გზაზე დადგომამ სრულიად ახალი პრობლემების თეორიული გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა დააყენა. ამ თვისებრივად ახალი პრობლემების გადაჭრა „იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა გამომუშავებული“ [21].

მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციებისა და კანონზომიერებების წარმოშობამ, „კომუნისტური სოციალიზმის“ დასრულებამ, ფაქტობრივად, ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებამ, რასაც გლობალური პრო-

ცესების გაღრმავება მოჰყვა, ხელი შეუწყო ზოგადი ეკონომიკური თეორიის გამოყენების მასშტაბების ზრდას.

გლობალიზაციამ დააჩქარა ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბება, ინტერნეტისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის არნახული ზრდა. ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების (საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, სამუშაო ძალის პროფესიულ-საკვალიფიკაციო დონის, წარმოებითი და სამმართველო გამოცდილების და ა.შ.) როლის ზრდის საერთო პროცესი, მათი გადაქცევა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად (რამაც განვითარებულ ქვეყნებში „სოფტიზაციის“ სახელწოდება მიიღო) გამოვლინდა ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების ხვედრითი წონის ზრდაში, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (მკსსს – R&D) დანახარჯების ამაღლებაში და ა.შ. ამიტომ დღეს, როდესაც ესოდენ სწრაფად მიმდინარეობს ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი, მისი პერსპექტივების განჭვრეტა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. ზოგადი ეკონომიკური თეორია აღნიშნული და სხვა ახალი პრობლემების გაანალიზებითა და გადაჭრის გზების ძიებით კვლავაც გამდიდრდება ახალი იდეებით, მიმართულებებით, იქნება საზოგადოებრივი პროგრესის დამაჩქარებელი და თანამონაწილე. ამის დასტურია თუნდაც მრავალი მიმდინარეობის თუ მიმართულების ამსახველი ეკონომიკური თეორიები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ზოგად ეკონომიკურ თეორიას. ესენია: მიკროეკონომიკური თეორია (ა. მარშალი), კლასიკური ეკონომიკური თეორია (ა. სმითი, დ. რიკარდო), მარჟინალიზმი (ს. ჯევონსი, ლ. ვა-

ლრასი, კ. მენგერი), მაკროეკონომიკური თეორია (ჯ.მ. კეინზი), ფასების ახალი თეორია (პ. სამუელსონი, ჯ. ჰიკსი), კეთილ-დღეობის ეკონომიკური თეორია (ა. პიგუ, ჯ. ჰობსონი, ფ. რამ-სეი, ა. ლერნერი, ჰ. ჰოტელინგი), თამაშთა და ეკონომიკური განვითარების თეორია (ო. მორგენშტერნი, ფ. ნეიმანი), ზედმე-ტი ღირებულების თეორია (კ. მარქსი), არასრულყოფილი კონ-კურენციის თეორია (ე. ჩემბერლინი, ჯ. რობინსონი, ო. მონ-გერშტერნი), აბსოლუტური უპირატესობის თეორია (ა. სმითი), შეფარდებითი უპირატესობის თეორია (დ. რიკარდო), კონკუ-რენტული უპირატესობის თეორია (მ. პორტერი), ღირებულების თეორიები (შრომითი ღირებულების თეორია – დ. რიკარდო, კ. მარქსი; ზღვრული სარგებლიანობის თეორია – ჯ. კლარკი, უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი; წარმოების დანახარჯების თეორია – მაკ-კულოხი; მოთხოვნა-მიწოდების თეორია – გ. მაკრეოდი, დ. ლოდერდელი; ინგლი-სურ-ამერიკული სკოლის თეორია – ა. მარშალი, პ. სამუელსო-ნი), ეკონომიკური ზრდის თეორია (ი. შუმპეტერი, რ. სოლოუ, ჯ. კეინზი, დ. მიდი), საზოგადოებრივი არჩევნის თეორია (კ. ეროუ, ჯ. ბიუკენენი), რაციონალური მოლოდინის თეორია (რ. ლუკასი), მონეტარიზმი (კ. ვიქსელი, ი. ფიშერი, გ. მიურდალი, ჟ. რიუეფი, მ. ფრიდმენი), ინსტიტუციური თეორია (თ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი, ჯ. გელბრეითი**),** განახლებული ფუ-ლის ნეოკლასიკური თეორია (მ. ფრიდმენი, დ. პატინკინი), სო-ციალური სტრატიფიკაციის თეორია (მ. ვებერი, ვ. პარეტო, ჯ. სტიგლიცი) და ა.შ. ეს და სხვა თეორიები სხვადასხვა კუთხით იკვლევენ თანამედროვე მრავალწახნაგოვან ეკონომიკას და მთლიანობაში ქმნიან ზოგად ეკონომიკურ თეორიას. ამიტომა-ცაა, რომ ამ უკანასკნელს განვითარებულ ქვეყნებში განსაკუ-თრებული როლი აკისრია და სათანადო ადგილი უჭირავს როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე საგანმანათლებლო სისტე-მაში.

ზოგადი ეკონომიკური თეორია ისწავლება მსოფლიოს უნივერსიტეტების უმრავლესობაში და აუცილებელია იგი ისწავლებოდეს საქართველოშიც. ამ მხრივ, საწინააღმდეგო ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში. დღეს საქართველოს უნივერსიტეტებში მეცნიერების ეს დარგი ამოღებულია სასწავლო პროცესიდან. პირველ ხანებში იგი შეიცვალა ეკონომიქსით, ხოლო ამჟამად (უკვე 6 წელია) ეკონომიკური თეორიაც და ეკონომიქსიც ჩაანაცვლა ამერიკელი ავტორის გრეგორი მენქიუს „ეკონომიქსის პრინციპებმა“ (N. Gregory Mankiew. Principles of Economics), თუმცა იგი არასწორად ითარგმნა ქართულად და „ეკონომიკის პრინციპები“ ეწოდა [24]. ყველაფერს თავისი სახელი აქვს. სასწავლო საგანს მეცნიერების სახელი უნდა ერქვას (ამ შემთხვევაში „ზოგადი ეკონომიკური თეორია“ ან „ეკონომიქსი“) და არა „ეკონომიკის პრინციპები“. ეს უკანასკნელი შეიძლება მხოლოდ მითითებული იყოს სილაბუსში ძირითად ან დამხმარე ლიტერატურად.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების დივერსიფიკაციამ, ინტენსივობამ და მასშტაბურობამ განაპირობა ზოგადი ეკონომიკური თეორიიდან ეკონომიქსის, საერთაშორისო ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისა და ა.შ. ცალკე დისციპლინებად გამოყოფა, რაც კანონზომიერ პროცესად მიგვაჩნია. თანამედროვე პირობებში მათი შესწავლა ვეღარ თავსდება ზოგადი ეკონომიკური თეორიის ფარგლებში.

ამრიგად, ზოგადმა ეკონომიკურმა თეორიამ, რომელიც ჩაისახა მერკანტილიზმის დროს, მომწიფდა ფიზიოკრატიზმის პერიოდში, ხოლო აღმოცენდა ინგლისური კლასიკური ეკონომიკური თეორიისა და შესაბამისი მიმართულების ჩამოყალიბების საფუძველზე, განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო. მისი გამოყენების მასშტაბების ზრდამ ხელი შეუწყო და, გარკვეულწილად, დააჩქარა კიდეც ინდუსტრიული

საზოგადოების გადასვლა უფრო მაღალ ისტორიულ ფაზაში – დასაბამი მისცა პოსტინდუსტრიულ ერას. ამ გარემოებამ წინა პლანზე წამოსწია საზოგადოებრივი ინტერესები და გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებაზე. სახელმწიფომ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნები შეიძინა. დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობა. ზოგადი ეკონომიკური თეორია, როგორც მეცნიერება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესახებ, XXI საუკუნის ამ გადმოსახედიდან ისევ ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ზოგადი ეკონომიკური თეორია განვითარებადი მეცნიერებაა. მისი კვლევის მეთოდი ეყრდნობა ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, მარტივად რთულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, ზოგადიდან კერძოსაკენ კვლევის მეთოდებს. მათზე დაყრდნობით კ. მარქსის მიერ „კაპიტალში“ მოცემულია XIX საუკუნის კაპიტალიზმის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზი. XX საუკუნე დარჩა ასეთი სისტემური ანალიზის გარეშე (ეკონომიქსს არ ძალუძს ამის გაკეთება), თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. XXI საუკუნის დასაწყისის გადმოსახედიდან უნდა გაკეთდეს ასეთი ანალიზი. იგი საფუძვლად დაედება XXI საუკუნის ეკონომიკის ამსახველ თეორიულ სისტემას. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ეროვნული ეკონომიკის პრობლემებიც, მათი თეორიული განზოგადება. **ზოგადი ეკონომიკური თეორია არ არის კოსმოპოლიტური მეცნიერება. მასში ეროვნული მოტივის შემოტანის აუცილებლობას დღევანდელი ცხოვრებაც გვიკარნახებს. ამიტომ ზოგადი ეკონომიკური თეორია კი არ უნდა ამოვძირკვოთ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პრაქტიკიდან**

(ეს სუსტად განვითარებული, ჩამორჩენილი ქვეყნების ხვედრია), არამედ უნდა განვავითაროთ იგი, რომ შევძლოთ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტური ანალიზი, პროგნოზირება, რაც მისი სწორი მიმართულებით განვითარების საწინდარია.

ზოგადი ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: რაში გამოიხატება მათ შორის განსხვავება

ისმის კითხვა: **სასწავლო პროცესში ეკონომიქსმა შეიძლება შეცვალოს ზოგადი ეკონომიკური თეორია?** ამის შესახებ მოგახსენებთ შემდეგს: მკითხველის დასარწმუნებლად იმაში, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელია როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორიის, ისე ეკონომიქსის სწავლება და რომ ეს უკანასკნელი ვერ შეცვლის ზოგად ეკონომიკურ თეორიას, გადავწყვიტეთ მოვიშველიოთ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული ჩვენი გამოკვლევა, სადაც, სათანადო არგუმენტაციით, შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ზოგად ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიქსს შორის, მსგავსებასთან ერთად, არსებითი განსხვავებაც [25]. აღსანიშნავია, რომ ზოგადი ეკონომიკური თეორიისაგან ეკონომიქსის განსხვავება, თავისებური ინტერპრეტაციით, გვხვდება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს პოზიციას [26, გვ. 30-31; 27, გვ. 26].

ეკონომიქსი ზოგადი ეკონომიკური თეორის კვლევის შედარებით ახალი სფეროა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ.

ეკონომიქსი არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ საბაზრო სისტემაში საზოგადოება თავისი უსაზღვრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით რა საზოგადოებრივი ფორმით, რა

გზებით წყვეტს შეზღუდული რესურსებით რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს. იგი პრაქტიკით გაჯერებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული თეორიაა, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია.

ეკონომიქსი რეგულირებადი, ანუ სოციალურად ორიენტირებული შერეული საბაზრო ეკონომიკის თეორიაა და მისი ფუნქციონირების მექანიზმს განიხილავს მიკრო-, მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკურ დონეებზე.

ეკონომიქსი, მიუხედავად იმისა, რომ იმ კანონზომიერებებს ეყრდნობა, რომლებსაც ზოგადი ეკონომიკური თეორია ადგენს, ამ უკანასკნელისგან განსხვავებულ ხედვას ემყარება და პარადიგმის შეცვლას გულისხმობს. ეკონომიქსი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისას მხოლოდ საბაზრო სისტემაში შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების კვლევით იფარგლება. **ზოგადი ეკონომიკური თეორიის საგანი კი გაცილებით ფართოა. იგი, როგორც ყველა ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველი, მეთოდოლოგიური ბაზა, არ არის მოქცეული ერთი ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში. ეკონომიკური თეორია სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ეპოქების ცვალებადობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, საზოგადოების ანატომიას, მისი ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს შეისწავლის, იკვლევს ეკონომიკურ კანონებს, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც იძლევა საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ მეცნიერულ დასაბუთებას.**

ზოგადი ეკონომიკური თეორია ყოველივე ამას ერთ სისტემაში აქცევს.

ეკონომიქსის მიზანი არ არის მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, არამედ ამ სისტემის ნაწილია, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონალური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა, ზოგადი ეკონომიკური თეორია კი ეკონომიკის ორგანულ კავშირებს სწავლობს.

ეკონომიქსი კმაყოფილდება ეკონომიკური განვითარების ზედაპირული ანალიზით. იგი არ იკვლევს ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეულ არსს (ამიტომაცაა, რომ საკუთრებითი ურთიერთობების განხილვას გვერდს უვლის) და საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის მიზეზებს, ზოგადი ეკონომიკური თეორია კი იკვლევს ყოველივე ამას.

ეკონომიქსში პრაგმატული მიზნებია წინა პლანზე წამოწეული, ზოგად ეკონომიკურ თეორიაში კი – თეორიულ-მეთოდოლოგიური. ეკონომიქსი მეტწილად რაოდენობრივი ანალიზია, ზოგადი ეკონომიკური თეორია კი – თვისებრივი. ეკონომიქსი ფართოდ იყენებს ეკონომეტრიკულ ანალიზს, რასაც ვერ ვიტყვით ზოგად ეკონომიკურ თეორიაზე. ეს უკანასკნელი ორიენტირებულია შემეცნებაზე, ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეული არსის გამოვლენაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, მაშინ როდესაც ეკონომიქსი მთავარ მიზნად ისახავს ეკონომიკის მართვისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. „ეკონომიკური თეორია არ არის უშუალოდ სამეურნეო პოლიტიკაში გამოსაყენებელი მზა რეკომენდაციების კრებული. ის არის ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ვინც მას ფლობს, ყველას ეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში“ (ჯონ მეინარდ კეინზი).

სავსებით ვეთანხმებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თანამე-

დროვე ეკონომიქსი წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების მიერ წამოყენებული ისეთი თეორიების ერთობლიობას, რომელთაგანაც ყოველი ცალ-ცალკე ცდილობს ასახოს ეკონომიკური სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტი“ [28]. ეკონომიქსი, მართლაც ეკონომიკური სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტების და მათი შესაბამისი თეორიების ერთობლიობაა. იგი ფრაგმენტებისგან ქმნის ეკონომიკის მთლიან სურათს, ზოგადმა ეკონომიკურმა თეორიამ კი, პირიქით, მთლიანობის ადეკვატური სურათის მეშვეობით უნდა ასახოს ეკონომიკური სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი.

ეკონომიქსი წარმოების განვითარების საკითხებს დანახარჯებისა და შედეგების ასპექტით, სარგებლიანობის კუთხით განიხილავს. ზოგადი ეკონომიკური თეორია კი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიული განვითარების ფორმების ანალიზს მოიცავს. ეკონომიქსი, შეიძლება ითქვას, გაურბის ეკონომიკური სისტემების შედარებით ანალიზს და შეისწავლის ერთი ეკონომიკური სისტემის სამეურნეო მექანიზმს. ზოგადი ეკონომიკური თეორიის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება კი ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზია (კომპარტივიზმი).* ამ მიმართულების შედეგია ინსტიტუციური თეორიები, კონვერგენციის, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და ა.შ. თეორიები.

„ეკონომიქსი სულ უფრო და უფრო მათემატიკის ფარული განყოფილება ხდება, იმის მაგივრად, რომ საქმე ჰქონდეს რეალურ ეკონომიკურ პორობლემებთან“ (მ. ფრიდმენი) [39, გვ. 188].

---

* ამ მიმართულებას ძირითადად საფუძველი ჩაუყარეს **ლ. რეინელდმა, დ. ჰოლმა, პ. კნირშმა** და ა.შ. იგი ფართოდ დამკვიდრდა აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

ზოგად ეკონომიკურ თეორიას არ აინტერესებს ადამიანთა კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა მისი ზედაპირული ფორმით. მას აინტერესებს წარმოების საზოგადოებრივი მხარე, საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოების პროცესში. წარმოების საზოგადოებრივი მხარე სხვადასხვა ეპოქასა და გეოგრაფიულ გარემოში წარმოების ფაქტორთა განვითარების განსხვავებულ იმპულსებს წარმოშობს, რაც, საბოლოო ანგარიშით, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში აისახება. ყოველივე ამას კი ეკონომიკური კანონები არეგულირებს. ამიტომ ზოგადი ეკონომიკური თეორიის მიზანია ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვევა, არსებული მოვლენის განმსაზღვრელი მიზეზების შესწავლა, ეკონომიკურ კანონთა მოქმედების მექანიზმის შეცნობა.

ეკონომიქსი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი, ზოგადი ეკონომიკური თეორია კი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მისგან შექმნილი დოვლათის მითვისების გამო.

ზოგადი ეკონომიკური თეორია ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. იგი არკვევს ეკონომიკური მოვლენის ისტორიულ წინაპირობებს, საიდან და რა მიზეზით წარმოიშვა იგი, გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს, საით და როგორ წარიმართება ეკონომიკური განვითარება. ამიტომაცაა, რომ ზოგადი ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიქსის კვლევის საგნები ერთმანეთს კვეთს, ოღონდ შესწავლის კუთხე სხვადასხვაგვარი აქვთ.

თუ ეკონომიკური თეორია ვიწრო გაგებით ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ამა თუ იმ მიმართულების ამსახველი თეორიაა, ფართო გაგებით, ის ეკონომიკის განვითარების ზოგადი თეორიაა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის როგორც ყველა ეკონომიკურ მიმართულებას, ისე მა-

ტერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების კანონებსა და კანონზომიერებებს. მისი ლაიტმოტივია საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების კვალობაზე სხვადასხვა წესით შეზღუდული რესურსების გამოყენებისას ფირმების, შინამეურნეობების (საოჯახო მეურნეობების) და ხელისუფლების ქცევის ანალიზი, თანამედროვე ეკონომიკაში (როგორც მიკრო-, ისე მეზო-, მაკრო- და მეგადონეზე) ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება და ოპტიმალური არჩევნის მიგნება.

ზოგადი ეკონომიკური თეორია აყალიბებს ეკონომიკურ მსოფლმხედველობას. მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია სხვა ეკონომიკური დისციპლინების შესწავლა, აქედან გამომდინარე, ეკონომისტთა კადრების (და არა მხოლოდ ეკონომისტთა) ხარისხიანი მომზადება. ამიტომ საქართველოს უნივერსიტეტებში აუცილებელია აღდგეს ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლება.

რაც შეეხება ზოგადი ეკონომიკური თეორიის გაიგივებას ეკონომიქსთან ან მის შეცვლას ეკონომიქსით, ეს გაუმართლებლად მიგვაჩნია. საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში ისწავლება ორივე – როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორია, ისე ეკონომიქსი. ეს მოწინავე გამოცდილება გასათვალისწინებელია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაშიც.

„ახალი პოლიტიკური ეკონომია“ და ზოგადი ეკონომიკური თეორია

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში პოლიტიკური ეკონომიის ტერმინის ქვეშ იგულისხმება იმ პოლიტიკური ფაქტორების კვლევა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. **„ახალი პოლიტიკური ეკონომია“** შეის-

წავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებებს. იგი სახელმწიფო მოწყობის ეკონომიკური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერებაა.

ის გარემოება, რომ სახელწოდება – პოლიტიკური ეკონომია სათავეს იღება XVII საუკუნიდან და განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელშიც მოცემულია კლასიკური კაპიტალიზმის ანალიზი (რაც საუკუნის შემდეგ მარქსისტებმა დოგმად აქციეს) და ეს უკანასკნელი დაკავშირებულია არამეცნიერულ იმპერიალიზმის ლენინურ თეორიასთან და მარქსის იდეოლოგიისაგან შორს მდგარ, ხელოვნურად შექმნილ არარეალური სოციალიზმის, საბჭოური სოციალიზმის „რეკომენდაციების კრებულთან“, გვაძლევს საფუძველს გავმიჯნოთ ზოგადი ეკონომიკური თეორია პოლიტიკური ეკონომიისაგან. თუმცა, ზოგადი ეკონომიკური თეორია, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისი, გარკვეული თვალსაზრისით, ფართო გაგებით, თავად მოიცავს პოლიტიკურ ეკონომიას.

საქართველოს უნივერსიტეტებში ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების საკითხისათვის

ისმის კითხვა: როგორ უნდა ისწავლებოდეს ზოგადი ეკონომიკური თეორია უმაღლეს სასწავლებლებში? ჯერჯერობით ამისთვის მზად არ არის სასწავლო დაწესებულებები, იმ მარტივი მიზეზით, რომ არ არსებობს შესაბამისი თანამედროვე მოთხოვნების ამსახველი სახელმძღვანელო. ნებისმიერი სახელმძღვანელო (თუ დამხმარე სახელმძღვანელო), რომელიც ამ ორ ათეულ წელში გამოვიდა საქართველოში, დღეს მოძველებულია, ამასთან, სტრუქტურული თვალსაზრისითაც მათში არ არის განხილული რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური თეო-

რიებისა და აქცენტი ძირითადად მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის საკითხებზეა გაკეთებული.

ზოგადი ეკონომიკური თეორიის შესწავლით სტუდენტი შეაღებს კარს ეკონომიკურ მეცნიერებაში, ე.ი. ამ საგნით დაიწყება I კურსი. იგი შეიძლება იყოს 5-კრედიტიანი (I სემესტრი, კვირაში 2 საათი ლექცია და 2 საათი სემინარი), ან 10-კრედიტიანი (I და II სემესტრები, შესაბამისი საათებით). ეს დამოკიდებულია სილაბუსის შინაარსზე, სახელმძღვანელოს დონეზე და, აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამონაწილეობით უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

ზოგადი ეკონომიკური თეორიის კურსის გავლის შემდეგ (I კურსის II სემესტრიდან, ან II კურსიდან) ეკონომიქსით გაგრძელდება სასწავლო პროგრამა და ამის შემდეგ (ეს იქნება II კურსის I ან II სემესტრი) დაიწყება მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის სიღრმისეული შესწავლა.

ჩვენი აზრით, ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლება I კურსიდან და ამ თანმიმდევრობით მასთან მომიჯნავე საგნების შესწავლა დიდად დაეხმარება სტუდენტებს ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში (რაც ესოდენ დაქვეითებულია დღეს). ეს განსაკუთრებით აუცილებელია ეკონომისტებისთვის, თუმცა, გარკვეული დოზით იგი საჭიროა არაეკონომიკური სპეციალობების ფაკულტეტებისთვისაც.

აღნიშნული საკითხით დაინტერესებისა და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოვადგენთ შესაბამის სილაბუსს ზოგად ეკონომიკურ თეორიაში, რომელშიც, ამ ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და დედაბოძის გენეზისის გარდა (დაწყებული მისი წარმოშობის წანამძღვრების განხილვით), გაშუქებული იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმდინარეობები და თეორიები, მათი როლი „ველური“ კაპიტალიზმის სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად ჩამოყა-

ლიბერალიზაციის წარმოქმნაში, ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდაში, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში და ა.შ. სილაბუსში და, აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში ასახული იქნება ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების ის გამოკვლევები, სიახლეები, რომლებმაც მოიპოვეს ესოდენ დიდი აღიარება. დაბოლოს, სახელმძღვანელოში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პრიზმაში ასახული იქნება ეროვნული ეკონომიკის განვითარების აქტუალური პრობლემები – საქართველოს ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მიღწეული წარმატებები თუ ჩავარდნები, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ქვეყნის ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები.

როგორც დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე განვლილმა ორმა ათეულმა წელმა გვიჩვენა, დასავლელი ეკონომისტების (თუ პოლიტიკოსების) მიერ დადგენილი რეცეპტებით ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა არ აღმოჩნდა ეფექტიანი. არ გაამართლა იმ შეხედულების გაუცნობიერებელმა გამოყენებამ, რომ ერთ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა, მეორეშიც ასევე წარმატებული იქნებოდა, ან კიდევ, ეკონომიკის რეფორმირების ერთი და იგივე მოდელი მისაღებია რეფორმების გამტარებელი ყველა ქვეყნისათვის.

იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, აუცილებელია გავერკვეთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსში, ავხსნათ მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შევიმუშაოთ ახალი კონცეფციები, გავაკეთოთ თეორიული განზოგადებები, რაც უნდა აისახოს კიდეც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ გადაწყვეტილებებს ჩვენს მაგივ-

რად უცხოელ ექსპერტთა მცირე ჯგუფი მიიღებს და ქვეყანა კვლავაც უცხოური დოქტრინების მძევალი იქნება.

გვახსოვდეს, რომ თეორიული ცოდნა სიახლეების დანერგვისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველია [40].

გთხოვთ გამოეხმაუროთ წინამდებარე ნაშრომს და მასში აღნიშნული წინადადებების დანერგვის აუცილებლობის შესახებ გამოხატოთ თქვენი პოზიცია.

ბიბლიოგრაფია

1. **Гелбреит Дж.К.** Экономика невинного обмана. Правда нашего времени. Перевод с английского. М., «Европа», 2009;

2. **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. I ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009;

3. **Krugman P.** The Return Depression Economics and the Crisis of 2008. New-York, 2010;

4. **Кейнс Дж.М**. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., „Прогресс“, 1978;

5. **Самуельсон Пол. Э., Нордхаус В.Д.** Экономика. Шестнадцатое издание. Перевод с английского. Москва, Санкт-Петербург, Киев, 2001;

6. **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტეის გამომცემლობა“, 1993;

7. **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английского. М., «Academia», 1999;

8. **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009);

9. **ასათიანი** რ. ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. „სოციალური ეკონომიკა“, 2012, №3;

10. **Fridman M.** Capitalism and Freedom. Chicago, “Univ. of Chicago Press” 1992;

11. The Economist. October 11, 2008;

12. http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878/

13. **ასათიანი რ.** მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და

ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, სპეციალური ნომერი (113);

14. **Перкинс Д.** Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., «Претекст», 2010;

15. **არჩვაძე ი.** საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1;

16. Eurostat Newsrelease, №47, 2008; www.statistics.ge („სამეწარმეო სფერო“);

17. www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“);

18. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo; Human Development Report - 2010. New York, 2010;

19. **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, 2008;

20. საქართველო „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ რეიტინგში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;

21. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის „პოლიტიკური ეკონომია“ და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“, 2002;

22. **ასათიანი რ.** გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე. „ახალი ეკონომისტი“, 2010, №2;

23. **Mankin N. G**. Principles of Economics. Harvard University. The Dryden Press Harcourt Brace College Publishers, 1998;

24. **მენქიუ გ.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე“, 2008;

25. **ასათიანი რ.** ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005;

26. **ჩიქავა ლ.** ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი, „მარჯი“, 2005;

27. ეკონომიკური თეორია. **გ. ადეიშვილისა** და **რ. ასათიანის** რედაქციით. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 1998;

28. **ლეიაშვილი პ.** ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი, „აზრი“, 2002;

29. **პაპავა ვ.** არატრადიციული ეკონომიქსი. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2011;

30. **პაპავა ვ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). „შრომები“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;

31. **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერონი“, 2012;

32. **Papava V.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? “Georgian International Journal of Science and Technology”. Vol. I, Issue 1, 2008;

33. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. „შრომები“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;

34. **Папава Г.** Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы. Стокгольм, “Ca& CC Press”, 2009;

35. **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol. 3, Issue 203, Sweden, „Ca&CC Press“, 2009.

36. **გოგოხია რ.** ეკონომიკური თეორიის როგორც მეცნიერების გენეზისის საკითხისათვის. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. I ტომი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2012;

37. **ასათიანი** რ. ეკონომიკური წესრიგი და დამოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;

38. **გველესიანი მ.** რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „კომენტარი“, 2000.;

39. **Леиашвили Р.** Экономическая деятельность: телеологический анализ. Тбилиси, издательство «Сиахле», 2011;

40. **ასათიანი რ.** თეორიული ცოდნა სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №3.

41. **სილაგაძე ა.** ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, „ინოვაცია“, 2010;

42. **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region Economic and Political Developments”. Bradley C. Ryan Editor**.** New York, “Nova Science Publishers Inc”, 2011;

43. **თოდუა გ.** ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწილი I. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004;

44. **თოდუა გ.** ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწილი II. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009;

45. **ვეშაპიძე შ.** ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკის განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი, „თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის გამომცემლობა“, 1999;

46. **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

47. **ასათიანი რ.** სახელმწიფო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. I ტომი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2012;

48. **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010.

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ის სრული პროფესორი, თსუ-ის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი

ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა

(საკითხის დასმის წესით)

რეფერატი

ნაშრომში განხილულია ზოგადი ეკონომიკური თეორიის, როგორც ყველა ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და მეთოდოლოგიური საფუძვლის, როლი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მსოფლმხედველობის გაფართოება-დახვეწაში. ამასთან დაკავშირებით, გაანალიზებულია კლასიკურ-ლიბერალური, „კეინზიანური“ (ნეოკეინზიანური), ნეოკლასიკური თეორიები, „ნეოკლასიკური სინთეზი“ და მონეტარული თეორია, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად ედო სხვადასხვა ხანგრძლივობითა და სხვადასხვა დროის მონაკვეთში.

ერთი რამ კი ცხადია: კეინზის მაკროეკონომიკურ რეგულირებაზე აგებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია „ველური კაპიტალიზმის“ თვისებრივი გარდაქმნა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად („კეინზიანური რევოლუცია“), ხოლო მ. ფრიდმენის მონეტარულ თეორიაზე მორგებულ-

მა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა პოლიტიკამ („ანტიკეინზიანური რევოლუცია“) გამოიწვია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

ნაშრომში შესაბამისი არგუმენტაციით, ახსნილია ეს პროცესები, რამაც მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: **საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ**. დამოუკიდებელ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ეკონომიკურ პოლიტიკაში არ გამოუყენებია მსოფლიოში აპრობირებული ეს გამოცდილება. **დღეს ახალ საქართველოში, მიუხედავად ლაგის ფაქტორის მოქმედებისა, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, პირველ ყოვლისა, შესაძლებელია კეინზიანურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.** ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მინიჭება გამოაცოცხლებს ბაზარს, მოგვცემს მაღალ მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლებას – ეს აუცილებელზე აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე, არამედ ნებისმიერ ფაკულტეტზე, ოღონდ შემცირებული პროგრამით.

ზოგადი ეკონომიკური თეორიის გაიგივება ეკონომიქსთან არ შეიძლება, ვინაიდან მათი კვლევის საგანი განსხვავებულია. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტების უმრავლესობაში, როგორც წესი, ისწავლება როგორც ეკონომიქსი, ისე ზოგადი ეკონომიკური თეორია. მსოფლიოში აპრობირებული ეს მოწინავე გამოცდილება გასათვალისწინებელია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაშიც.

Rozeta Asatiani
Doctor of economic sciences,
Full rofessor of Georgian Technical University,
scientist-consultant of Paata Gugushvili Institute
of Economics of Tbilisi State University

GENERAL ECONOMIC THEORY AND THE NECESSITY OF RE-ESTABLISHMENT OF ITS TEACHING

(statement of question)

abstract

The article considers the role of general economic theory as the source and methodological foundation of all economic sciences in economic policy of the country, in social and economic development and in expansion-refining of society outlook. In this connection classical-liberal, "Keynesian" (neo-Keynesian), neoclassical theories, "neoclassical synthesis" and monetary theory are analyzed which were the basis of economic policy of world leading capitalist countries with different longevity and in different time periods.

One is evident: economic policy built on Keynesian macroeconomic regulation caused qualitative transformation of "wild capitalism" into socially oriented market economy ("Keynesian revolution"), while economic policy of developed countries adjusted to M. Friedman monetary theory ("anti-Keynesian revolution") caused economical crisis of the contemporary world.

With the respective argumentation the article explains the processes which brought us to the following conclusion: the cause of

Georgia's lack of success should be searched for in improper economic policy. In economic policy of independent Georgia neither of governments had used the experience approved in the whole world. Today in new Georgia the escape from economic crisis is, in the first place, possible pursuing economic policy built on Keynesian theory. Imparting of social orientation to the economy will revive the market, give high multiplication effect which is the basis of economic development of Georgia.

As to teaching of general economic theory at universities – this is essentially indispensable not only at the faculties of economic profile, but generally at all faculties (short program).

Equating of general economic theory with economics is not right as the subject of their research is different. That's why at the universities of the leading countries of the world, economics, as well as, general economic theory are taught. This advanced experience approved in the world is to be considered in educational system of Georgia, as well.

ROZETA ASATIANI

GENERAL ECONOMIC THEORY AND THE NECESSITY OF RE-ESTABLISHMENT OF ITS TEACHING

(statement of question)

in Georgian Language
Publishing house "Siakhle"
Tbilisi 2013

გამომცემლობა „სიახლე", თბილისი 0162,
ყიფშიძის ქ. №10. ტელ.: 599530487;
E-mail: siakhle@gmail.com